სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/77

ქ. თბილისი 23 ივნისი 2022

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობებზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 მაისის №01-05-04/41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ” დებულების შესაბამისად, უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ხელმძღვანელის, ზაზა სოფრომაძის 2022 წლის 23 ივნისის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 23 ივნისის სხდომის **№01-05-02/20** ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობებზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 მაისის №01-05-04/41 დადგენილებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების მე-3 პუნქტით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული სახით;

ბ) დადგენილების მე-7-მე-12 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საკონკურსო განცხადებების მიღება გაგრძელდეს 2022 წლის 09 ივლისის (კვირა დღის და უქმე დღეების გარდა) ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, საკონკურსო კომისიის სამდივნოში.

8. 65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირის მიერ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის თაობაზე აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების მისაღებად განცხადებების შეტანის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

9. კონკურსი ჩატარდეს 2022 წლის 18 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2022 წლის 23 ივლისს, საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.

10. კონკურსთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიაში განცხადებების/საჩივრების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 23 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით.

11. აკადემიურ საბჭოში კონკურსის შედეგების დამტკიცების ვადა განისაზღვროს 2022 წლის 29 ივლისს.

12. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://gtu.ge/ არა უგვიანეს 2022 წლის 30 ივლისისა.“.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**